საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ფრაქცია

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

05/09/2023
N 09-02-16/515

515-09-02-16-2-202309051753

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის
აუდიტის დეპარტამენტის უფროსს
ბატონ კახაბერ კირტავას

სადეპუტატო კითხვა

როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა ანბანის კოშკის ირგვლივ ტერიტორიაზე განთავსებულია ათეულობით უსახური ჯიხური, რომელიც ეკუთვნის ჩინეთის მოქალაქეს. ჯიხურებით ათვისებულია საოცრებათა მოედანი, რაც შეუსაბამობა მიმდებარედ არსებულ ძეგლთან. აღნიშნულ პირს ჯიხურები ასევე გაცემული აქვს ქვეიჯარით სხვა პირებზე. ჯიხურების მიმდებარედ უკანონოდ უკრძალავენ მოქალაქეებს სკუტერებით, ველოსიპედებით გადაადგილებას.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 126-ე მუხლის შესაბამისად გთხოვთ მოგვაწოდოთ:

1. მოხდა თუ არა თქვენს მიერ შესწავლა რა მიზნით მოხდა ტერიტორიის იჯარით გაცემა. როცა ეს იყო საზოგადოებრივი სივრცე, მიმზიდველი ადგილი, რომლითაც სარგებლობდნენ როგორც ბათუმელები ასევე ჩამოსული ტურისტები. რეალურად საოცრებათა მოედანი გადაიქცა უსახური ჯიხურების ქალაქად, სადაც გავლაც კი შეუძლებელია სიმჭიდროვის, უკანონოდ დაწესებული აკრძალვების, არსებული ანტისანიტარიისა და სხვა მიზეზების გამო;
2. მოხდა თუ არა თქვენს მიერ შესწავლა იჯარის ხელშეკრულების გაფორმებისა და ვალდებულებების შესრულების კანონიერების საკითხი. ასეთის არსებობის შემთხვევაში გთხოვთ მოგვაწოდოთ შესაბამისი დოკუმენტების ასლები;
3. მოხდა თუ არა ანბანის კოშკის იჯარით გაცემასთან დაკავშირებით, იჯარის ხელშეკრულების გაფორმებისა და ვალდებულებების შესრულების კანონიერების საკითხი. ასეთის არსებობის შემთხვევაში გთხოვთ მოგვაწოდოთ შესაბამისი დოკუმენტების ასლები;
4. შესწავლილი იქნა თუ არა თქვენს მიერ საოცრებათა მოედანზე ჯიხურების ქვეიჯარით გაცემის საკითხი, ასეთის არსებობის შემთხვევაში გთხოვთ მოგვაწოდოთ შესაბამისი დოკუმენტების ასლები;

5. შესწავლილი იქნა თუ არა თქვენს მიერ რამდენად ხორციელდებოდა შესაბამისი სამსახურების მიერ კონტროლის განხორციელება ტერიტორიის სარგებლობის კანონიერებასა და სარგებლობის წესების დაცვასთან დაკავშირებით, ასევე სანიტარული და სურსათის უვნებლობის წესების დაცვასთან დაკავშირებით. ასეთის არსებობის შემთხვევაში გთხოვთ მოგვაწოდოთ შესაბამისი დოკუმენტების ასლები;
6. შესწავლილი იქნა თუ არა თქვენს მიერ გაცემულია თუ არა აჭარის ა.რ კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს მიერ ნებართვა ძეგლზე/ძეგლის დაცვის ზონაში ჯიხურების მასიურ განთავსებასთან დაკავშირებით, ასევე ახორციელებდა თუ არა სააგენტო რეაგირებას უკანონო ქმედებებზე. ასეთის არსებობის შემთხვევაში გთხოვთ მოგვაწოდოთ შესაბამისი დოკუმენტების ასლები;
7. შესწავლილი იქნა თუ არა თქვენს მიერ ქ. ბათუმის მერიის მიერ ჯიხურების გათავსებასთან დაკავშირებით ნებართვის გაცემის საკითხი, ასეთის არსებობის შემთხვევაში გთხოვთ მოგვაწოდოთ შესაბამისი დოკუმენტების ასლები;

გთხოვთ მოგვაწოდოთ შესწავლის/რეაგირების ამსახველი დოკუმენტების ასლები.

პატივისცემით

ელგუჯა ბაგრატიონი

თავმჯდომარე

ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE • კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერა